(პროლეტარიანებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 18 დეკემბერი, 1943 წ. № 260 (6885). ფასი 20 კაპ.

დროულად და სწორად გავანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი

დიდი სამამულო ომის ვითარებაში კოლმეურნეები სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთან ერთად დაუღალავი შრომის მაგალითებს იძლევიან. მიმდინარე წელს საქართველოს კოლმეურნეობებმა სტახანოვური შრომით უხვი სამხედრო მოსავალი მიიღეს. კიდევ უფრო გაიზარდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. მცხეთის რაიონის წეროვნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში წელს შრომადღეზე 5,5 კილოგრამი მარცვლეული და სხვა პროდუქტები გაანაწილეს, გარდა ფულადი შემოსავლისა. წითელწყაროს რაიონის მირზაანის ჟდანოვისა და ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებში შრომადღეზე კოლმეურნეს ერგო 5 კილოგრამი მარცვლეული და სხვადასხვა პროდუქტები ფულადი შემოსავლის გარდა. სოფ. პირველი ხორგის (ხობის რაიონი) ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში შრომადღეზე გაანაწილეს 6,5 კილოგრამი მარტო სიმინდი.

ბორჩალოს რაიონის სოფ. კაჩაგანის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ ფულადი შემოსავალი 4 მილიონ მანეთს უდრის. წელს კოლმეურნეობა შრომადღეზე გასცემს 5 კილოგრამ მარცელეულს, 4 კილოგრამ კარტოფილს და სხვა პროდუქტებს, ხოლო ფულად არა ნაკლებ 20 მანეთისა.

კოლმეურნეობები პირნათლად იხდიან თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. ხალხთა საყვარელი ბელადის და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** მოწოდების პასუხად კოლმეურნეები გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ და აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას. მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი დასასრულს უახლოვდება. ერთ-ერთ სერიოზულ სამუშაოს წარმოადგენს კოლმეურნეობებში მოსავლისა და შემოსავლის დროულად და სწორად განაწილება. კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილება დიდი სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოების ამოცანაა კონკრეტულ-ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიონ მოსავლის და შემოსავლის საბოლოო განაწილებას.

კოლმეურნეობებში მოსავალი და შემოსავალი ისე უნდა გავანაწილოთ, როგორც ამას მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება. მოწინავე კოლმეურნეობების წარმატებით ემზადებიან შემოსავლის გასანაწილებლად. მთელი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ყველა კოლმეურნეობამ შემოსავალი გაანაწილოს სწორად და კუთვნილი პროდუქტები და ფულადი თანხა დროულად მისცეს კოლმეურნეებს.

კოლმეურნეობამ პირველ რიგში უნდა შეასრულოს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმები, დაიბრუნოს სათესლე სესხი, ანგარიში გაუსწოროს ნატურით მტს-ს ამ უკანასკნელის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის. მას შემდეგ, რაც მან შეასრულა ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, გამოჰყო სათესლე ფონდი, იგი ჰქმნის საფურაჟე, სადაზღვევო-სათესლე, სასურსათო ფონდებს და სხვ. კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით ჰქმნის ფონდებს წითელარმიელთა ოჯახების დასახმარებლად, ინვალიდების, მოხუცების, სიბავშვო დაწესებულებათა შენახვისათვის ისეთი ოდენობით, რომ ეს საერთო პროდუქციის 2 პროცენტს არ აღემატებოდეს. აგრეთვე საერთო კრების დადგენილებით, გამოჰყოფს პროდუქტების ნაწილს სახელმწიფოსათვის მისაყიდად ან საკოლმეურნეო ბაზარზე გასაყიდად. კოლმეურნეობის მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტების მთელ დანარჩენ მასას ანაწილებს წევრებს შორის გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით.

ასევე სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ ფულადი შემოსავლის განაწილებას. კოლმეურნეობა პირველ რიგში უხდის სახელმწიფოს კანონით დაწესებულ გადასახადებს, ისტუმრებს სადაზღვევო გადასახდელებს და უბრუნებს ფულადს სესხებს, აწარმოებს აუცილებელ ხარჯებს მიმდინარე საწარმოო საჭიროებათათვის, გამოჰყოფს სახსრებს კულტურულ საჭიროებათათვის, ფარავს არტელის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯებს, შეავსებს არტელის განუყოფელ ფონდს, როგორც ეს აღნიშნულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში. ფულადი შემოსავლის მთელ დარჩენილ თანხას ანაწილებს წევრებს შორის შრომადღეების მიხედვით. საჭიროა მოსავლისა და შემოსავლის განაწილების ეს წესი მტკიცედ დავიცვათ და არ დავუშვათ დამახინჯება ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებისას.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებამ უდიდესი სტიმული მისცა კოლმეურნეებს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში შარშან ეს წესი დაცული არ იყო. შარშანდელი გაკვეთილიდან სათანადო დასკვნა უნდა გავაკეთოთ. კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების განუხრელად განხორციელებისათვის საჭიროა ზუსტად იყოს აღრიცხული იმ ბრიგადების, რგოლების, ცალკეულ კოლმეურნეთა მუშაობა, რომლებმაც მოსავლიანობის და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დაწესებულ ნორმებს გადააჭარბეს.

საკოლმეურნეო შემოსავლის სწორად გასანაწილებლად საჭიროა ზუსტად აღრიცხოს კოლმეურნეობის სტატურალური და ფულადი შემოსავალი, გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა, გასაწევი ხარჯები. კოლმეურნეობების გამგეობებს და საანგარიშო დარგის მუშაკებს ამ საქმეში აქტიური დახმარება უნდა აღმოუჩინონ სარევიზიო კომისიებმა. კოლმეურნეობათა საანგარიშო დარგის მუშაკები ვალდებული არიან სრულ წესრიგში იქონიონ აღრიცხვა. გულდასმით უნდა მოვეკიდოთ კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეების დროულად და სწორად დაჯამებას. აღრიცხვის საუკეთესოდ დაყენება საკოლმეურნეო შემოსავლის წესიერად განაწილების მძლავრი პირობაა.

ყოველმხრივ დავეხმაროთ კოლმეურნეობებს 1943 წლის წლიური ანგარიშების დროულად შედგენისა და შემოსავლის განაწილების საქმეში. კოლმეურნეობათა წლიურ ანგარიშებში მთელი შემოსავალ-გასავალი სწორად უნდა იყოს ჩაწერილი, რადგან ის კოლმეურნეობის მთელ მუშაობას გამოხატავს. კოლმეურნეობის წლიური ანგარიში საუძველიანად უნდა განიხილოთ წევრთა საერთო კრებაზე. საჭიროა, რომ კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშები დროულად დაამტკიცონ რაისაბჭოების აღმასკომებმა.

შემოსავლის საბოლოო განაწილება კოლმეურნეობაში უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც საერთო კრება განაწილების გეგმას დაამტკიცებს. კოლმეურნეთა ფართო მასების მონაწილეობით უზრუნველვყოთ ამ სამუშაოს წარმატებით ჩატარება. გავაძლიეროთ მზადება შემოსავლის საბოლოო განაწილებისათვის, დროულად და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ მოსავლისა და შემოსავლის განაწილება, რადგან ეს წარმოადგენს მძლავრ იარაღს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდისათვის.

მამაცი მეთაური ვ. ბედოშვილი

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ფრონტზეს სახელობის აკადემიას, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ აღნიშნა თავისი არსებობის XXV წლისთავი, ამ დღეებში სხვა მამენელთა შორის ამთავრებს ძველი მეთაური ვასო ბედოშვილი, რომელიც სამამულო ომის პირველი დღიდანვე ბრძოლებიდან არ გამოსულა, მუდამ ცეცხლის ხაზზე იყო. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დაიჭრა, მაგრამ მწყობრში დარჩა.

ამხ. ვ. ბედოშვილი დაიბადა ქ. გორში 1909 წელს, მუშის ოჯახში. ბავშვობა დიდ გაჭირვებაში გაატარა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა საშუალება შესულიყო სკოლაში. ვ. ბედოშვილი წითელარმიაში მოხალისედ შევიდა. მსახურობდა ბათუმში, შემდეგ გაიგზავნა ამირკავკასიის ქვეითთა სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა ლეიტენანტის წოდებით.

სამამულო ომმა ამხ. ვ. ბედოშვილს მოუსწრო ბესარაბიაში, იმ დივიზიაში, რომლის დროშას ამჟამად შვიდი ორდენი ამშვენებს. ამ დივიზიაში ბედოშვილმა შეასრულა დიდი ლაშქრობანი. დაუღალავად ანადგურებდა მტერს, ებრძოდა დაშისტებს უკრაინის ველებში, მდინარე დონზე, მდინარე ყუბანზე, კავკასიონის მთისპირებში. როდესაც ამხ. ბედოშვილი დაინიშნა მეთაურის მოადგილედ სამეწყობრო ნაწილში, მან შესძინა თავისი ბუნებრივი ნიჭი ნებისყოფიანი მეთაურისა და გამოიყენებინა ის გამოცდილება, რაც შეიძინა მრავალ ბრძოლაში, რომლებშიც მეთაურობდა მეტყვიამფრქვევთა ასეულს, შემდეგ ბატალიონს.

1942 წლის აგვისტოში ამხ. ვ. ბედოშვილი დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით. ეს ჯილდო მან დაიმსახურა ქ. კრასნოდარის გმირული დაცვით, როდესაც მხოლოდ ერთი ბატალიონით სამი დღის განმავლობაში აკავებდა მტრის ჯარი ძალების მოწოლას და იფარავდა ჩაცერ ნაწილების ორდენგადმონაცვლებას. ამხ. ბედოშვილს ბრძანება ჰქონდა ბრძოლის რაიონიდან გამოეყვანა ცოცხალი ძალა. მან კი მარჯვე მანევრით მოახერხა შეენარჩუნებინა და მდ. ყუბანის სამხრეთ ნაპირზე გადმოეყვანა ბატალიონის არა მარტო პირადი შემადგენლობა, არამედ მთელი მატერიალური ნაწილი და აღჭურვილობა.

ამხ. ბედოშვილის მგზნებარე სურვილია ყველაზე მოხვდეს ფრონტზე და განდევნოს მტერი წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყლიდან.

ვ. ყარა-მურზა

საბჭოთა კავშირში

თერმიული ღუმელების გაზგენერატორები ადგილობრივი სათბობით მუშაობენ

სათბობგამოყენების სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა შეიმუშავა გაზგენერატორის კონსტრუქცია, რომელიც შეაძლებლობას იძლევა თერმიული და სათბობი ღუმელები მაზუთიდან გადავიყვანოთ მერქნის ჩირეებზე ან ნაჭერ ტორფზე.

გაზგენერატორს აწყობენ მზა ნაწილებისაგან, იგი თითქმის არ მოითხოვს ჩამოსხმას და მარჯვეა მომსახურებისათვის. იგი ერთდროულად გაზს აწვდის სამ-ოთხ ღუმელს. გაზგენერატორის გამოცდამ საავიაციო მრეწველობის ერთ-ერთ ქარხანაში კარგი შედეგი მოგვცა (საკდესი).

მეცხოველეობის აღდგენა კიევშჩინაში

კიევშჩინის განთავისუფლებული რაიონებიდან კოლმეურნენი შეუდგნენ მეცხოველეობის ფერმების აღდგენას. პერეიასლავ-ხმელნიცკის, ბაბინეცის, ბროვარის, ბერეზანის, ბორისპოლის რაიონების კოლმეურნეობებში მოკლე ხნის განმავლობაში შექმნილია 40 ფერმა, რომლებშიც ითვლება 2.000-ზე მეტი სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, და მეღორეობის 20 ფერმა, სადაც არის 800 სული ღორი.

გარდა ამისა, ამ რაიონების კოლმეურნეობებმა დააკონტრაქტეს 4.500 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

17 დეკემბრის ოპერაციული ცნობა

17 დეკემბრის განმავლობაში კიროვოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები ოგერიებდნენ რა მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც პოზიციები გაიუმჯობესეს.

ფრონტის სხვა უბნებზე ზვერვა და საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლაა.

16 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაახიანეს და მოსპეს გერმანელთა 42 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 17 თვითმფრინავი.

* * *

კიროვოგრადის მიმართულებით ერთ უბანზე მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ორი პოლკი და 70 ტანკი კონტრიერიშზე გადმოვიდა. გერმანელებმა, რომელნიც საარტილერიო ცეცხლს წაწყდნენ, 15 ტანკი დაჰკარგეს. სანამ ჩვენს პოზიციებამდე მოვიდოდნენ. ბრძოლის მსვლელობაში გერმანელთა მძიმე ტანკების და თვითმავალი ქვემეხების ჯგუფმა მოახერხა შემოჭრილიყო ჩვენი ჯარების საბრძოლო წყებებში. თავდაცვის სიღრმეში მტერზე იერიში მიიტანეს საფარში მყოფმა საბჭოთა ტანკისტებმა. მტრის შემოჭრილი ყველა 12 ტანკი „ვეფხვის“ ტიპისა და 6 თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდი“ მოსპობილ იქნა. ამ ბრძოლის შედეგად მოწინააღმდეგემ 800-ზე მეტი თავისი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჭკარგა მოკლულთა სახით. სხვა უბანზე საბჭოთა გვარდიის ნაწილები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ და, გასტეხეს რა გერმანელთა წინააღმდეგობა, პოზიციები ვაიუმჯობესეს. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

საბჭოთა მფრინავები, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, კვლავ ურტყამდნენ მოწინააღმდეგის ჯარებსა და კომუნიკაციებს. ავიაციის საბრძოლო მოქმედების შედეგად მოსპობილი და დაზიანებულია გერმანელთა 40 ტანკი, 150 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, აფეთქებულია რამდენიმე სამხედრო ეშელონი და საომარი მასალის საწყობი, გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილია მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ამხანაგ სტალინის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა, რომელიც პინსკის ოლქის ერთ-ერთ ორიენტირში მოქმედებს, მეინარე პრიპიატში ჩაანარცხა გერმანელთა ორი მოტორიანი კატერი. ამავე რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის სამხედრო ეშელონი. მოსპობილია ორთქმავალი და ათი პლატფორმა. მარცხის დროს დაიმსხვრა 6 ავტომანქანა, 4 ტანკი, მოკლული და დაჭრილია 40-ზე მეტი ჰიტლერელი.

* * *

გაფთრებულ ბრძოლებში წითელი არმია დიდ ზარალს აყენებს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ამ უკანასკნელ თვეებში ჩვენმა ჯარებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე გაანადგურეს გერმანელთა მთელი რიგი შენაერთები. გერმანელთა 137-ე ქვეითი დივიზიის 447-ე პოლკის ტანკსაწინააღმდეგო ასეულის ობერ-ეფრეიტორმა ვალტერ კრენცლმა განაცხადა: „ოქტომბერში რუსებმა განდევნეს ჩვენი დივიზია დნეპრს გაღმა. მდინარეს მარჯვენა ნაპირზე წარმოებულ ბრძოლებში მან მთელი რიგი დამარცხებანი განიცადა. ნოემბრის დამლევს დივიზიაში მხოლოდ 300 აქტიური მებრძოლი დარჩა. 447-ე პოლკის ქვეგანყოფთა ნაშთებიდან შეიქმნა საბრძოლო ჯგუფი, რომლის საერთო რიცხვი 35 კაცს შეადგენს“.

გერმანელთა 39-ე ქვეითი დივიზიის 113-ე პოლკის მე-2 ასეულის ტყვედ წამოყვანილმა ობერ-ეფრეიტორმა ჰენრიხ პრომასმა განაცხადა: „ჩვენი დივიზიისაგან ერთი მუშა ადამიანები დაგადარჩნენ, რომელნიც გაერთიანებულნი არიან ნაკრებ ბატალიონად. დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ლევენეკი და 113-ე პოლკის მეთაური პოლკოვნიკი კნეტში მოკლული არიან“.

განთავისუფლებულ კიევში

კიევის განთავისუფლების დღიდან ერთ თვეზე ცოტა მეტი ხანი გავიდა. უკრაინის დედაქალაქის მცხოვრებნი მხურვალედ შეუდგნენ მშობლიური ქალაქის აღდგენას. მოკლე ვადაში ამუშავებულია ადგილობრივი მრეწველობის ათობით საწარმო. მუშაობენ საპარიკმახეროები, სასადილოები, მაღაზიები, 15 პურსაცხობი. ძირითად მაგისტრალებზე მომზადებულია საექსპლოატაციოდ ტრამვაის ქსელი.

დღითი დღე უფრო და უფრო ცოცხლდება კიევი. 1 დეკემბერს 20 სკოლა გაიხსნა. ორი წლის განმავლობაში ბავშვებმა პირველად დაიწყეს სწავლა დედა ენაზე. განახლდა მიღება 30 სამკურნალო დაწესებულებაში. დაიწყო დადგმები თეატრისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, რუსულ თეატრში. კიევის ქუჩებში ათობით ხმამაღლა მოლაპარაკე დაიდგა. (საკდესი).

დეპეშები

ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულების შესახებ

ლონდონი, 16 დეკემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭომ თავის პლენარულ სხდომაზე, რომელიც 15 დეკემბერს შეიკრიბა, გამოიტანა რეზოლუცია, რომლითაც იგი „ღრმა კმაყოფილებითა და სიხარულით ღებულ ცნობად და იწონებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმსრულებლის დოქტორ რიპკას ცნობას საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებაზე მეგობრობისა, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ, რაც ხელმოწერილ იქნა მოსკოვში ამა წლის 12 დეკემბერს“.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო საბჭო „ამ ხელშეკრულებაში ხედავს გაანახლებული ჩეხოსლოვაკიის ხელსაყრელი განვითარების გარანტიას. სახელმწიფო საბჭო დარწმუნებულია, რომ სამშობლოს ერთგული, მებრძოლი და დიდად ტანჯული მთელი ჩეხოსლოვაკი ხალხი აღტაცებით მიესალმა ხელშეკრულების ხელმოწერას“. „სამშობლოში მყოფი ყველა ჩეხოსლოვაკისათვის და ჩვენთვის—საზღვარგარეთ მყოფთათვის,—ითქვამია რეზოლუციაში,—ეს ხელშეკრულება მოწოდებაა იმისაკენ, რომ გავაძლიეროთ ბრძოლა სასტიკ მტერთან და რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ მის საბოლოო განადგურებას“.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ინგლისის ბომბდამშენთა თავდასხმა ბერლინზე

ლონდონი, 17 დეკემბერი (საკდესი) ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 16 დეკემბერს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა დიდი შენაერთი თავს დაესხა სხვადასხვა ობიექტებს ბერლინში. ჩამოყრილია 1.500 ტონაზე მეტი ფუგასური და ცეცხლგამჩენი ბომბები. დაბომბვის რაიონში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა.

ინგლისის ავიაციის სხვა შენაერთებმა იერიში მიიტანეს სხვადასხვა ობიექტებზე ჩრდილოეთ საფრანგეთში. „მოსკიტო“ თვითმფრინავებმა დაბომბეს ობიექტები დასავლეთ გერმანიაში. ინგლისის 30 თვითმფრინავი არ დაბრუნებულა თავიანთ ბაზებში

სომაური მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 17 დეკემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ ინგლისის მერვე არმიის ფრონტზე ახალზელანდიელთა ნაწილებმა წარმატებითი იერიში მიიტანეს. მოწინააღმდეგემ, რომელიც ცდილობდა აღედგინა მდგომარეობა ორი ძლიერი კონტრიერიშით, მარცხი განიცადა და მძიმე ზარალი მოუვიდა. ამ ფრონტის სხვა უბანზე გაუმჯობესებულ იქნა პოზიციები; მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიშიც მოგერიებულ იქნა მისთვის დიდი ზარალის მიყენებით.

ამერიკის მეხუთე არმიის ფრონტზე წარმოებული ყო შეზღუდული იერიშები და, მტრის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, დაკავებულია ფრონტის ჩრდილოეთი ნაწილის გასწვრივ მდებარე ადგილის ზოგიერთი მნიშვნელოვანი უბანი.

ამერიკის დესანტის გადასხმა არავეს კუნძულებზე

ლონდონი, 17 დეკემბერი (საკდესი). მოკავშირეთა წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბმა ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნა, რომ ამერიკის ჯარები გადასხდნენ არავეს კუნძულებზე (კუნძულ ახალი ბრიტანეთის სამხრეთ სანაპიროსთან).

შვეიცარიის ინჟენერიბენცხიის ანგარიშგერმანული გამოსვლები

სტოკჰოლმი, 17 დეკემბერი (საკდესი). შვედური გაზეთი „სვენსკა დაგბლადეტი“ იუწყება, რომ ამ უკანასკნელ დღეებში შესდგა შვეიცარის უნივერსიტეტებისა და უმაღლესი სკოლების მასწავლებელთა მთელი რიგი თათბირები, რომლებზეც განხილულ იქნა გერმანიასთან საუნივერსიტეტო კავშირის გაწყვეტის საკითხი ნიშნად პროტესტისა გერმანელების მიერ ოსლოში უნივერსიტეტის სტუდენტთა მასობრივი დაპატიმრების წინააღმდეგ. გაზეთის სიტყვით, უპსალის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადასწყვიტა შემდგომში არ მოიწვიოს გერმანელები ლექციებისა და მოხსენებების წასაკითხავად უნივერსიტეტში და აღარ მიიღოს გერმანიიდან ანალოგიური მოწვევა.

გერმანელები ხერსონ ყველ ნაყვანილ იპალიელ ოფიცრებს

ნიუ-იორკი, 17 დეკემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, იტალიელმა გენერალმა, რომლის ჯარებიც ინგლისისა და ამერიკის ნაწილებთან ერთად იბრძვიან მინიანოს სექტორში, განაცხადა, გერმანელები ტყვედ წაყვანილ ყველა იტალიელ ოფიცერს ხვრეტენ.

როვნოში მოკლეს ჰიტლერელი საგრაკი

სტოკჰოლმი, 17 დეკემბერი (საკდესი). გერმანელ ფაშისტთა გაზეთმა „შინსკერ ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ თავის სასახლეში ბრემიერ-მინისტრის მოადგილემ ეტლინ თემთა პალატაში განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში გამოქვეყნებულია შემდეგი ბიულეტენი ჩერჩილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ: „რამდენიმე დღის განმავლობაში პრემიერ-მინისტრი ლოგინში იმყოფებოდა გაციების გამო. ახლა მარცხენა ფილტვში ანთების კერა განვითარდა. საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია“.

16 დეკემბერს საღამოს გამოქვეყნებულ ბიულეტენში აღნიშნულია, რომ პრემიერ-მინისტრის საერთო მდგომარეობას ერთგვარი გაუმჯობესება დაეტყო.

გერმანელი ფაშისტი ბოროტმოქმედნი საბჭოთა ხალხის სამსჯავროს წინაშე

16 დეკემბრის „პრავდის“ სარედაქციო სტატია

ხარკოვში დაიწყო სასამართლო პროცესი. დამნაშავეენი, რომლებმაც საშინელი ბოროტმოქმედებანი ჩაიდინეს მშვიდობიანი მოსახლეობისა და დაჭრილი წითელარმიელების მიმართ გერმანელთა ოკუპაციის დროს, საბჭოთა სამსჯავროს წინაშე წარსდგნენ. ასეთი — სამსჯავრო სწარმოებდა ამას წინათ კრასნოდარში. მაშინ ბრალდებულთა სკამზე იხდნენ საშინელს მოლალატენი, საზიზღარი გამცემნი, ჰიტლერელი ჯალათების ხელშემწყობნი. მათმა ბატონ-პატრონებმა, გერმანელმა ფაშისტმა მტარვალებმა მოახერხეს დროებით დამალოდნენ სამსჯავროსა და სამართლიან შურისგებას.

ხარკოვში ბრალდებულთა სკამზე სხედან გერმანელი დამნაშავენი. საბჭოთა მართლმსაჯულების ხელი მისწვდა მათ და დასჯის. გერმანელ ბარბაროსთა არმიას არ შეეძლო და არ შეუძლია იხსნას თავისი თანამონაწილენი. გერმანელთა ბანდებს წარმატებით ვერეკეთნენ მათ მიერ დროებით დაპყრობილ საბჭოთა რაიონებიდან, სადაც ყველგან მათს შემდეგ ჩნდება კოშმარულ დანაშაულობათა და მხეცობათა კვალი, რაც ჩადენილია გერმანელი ავაზაკების მიერ ჰიტლერული სარდლობის კაციმჭამელურ ბრძანებათა შესაბამისად.

ის, რომ გერმანელი დამნაშავენი შეპყრობილი, გამომძღვანებული არიან და პასუხს აგებენ საბჭოთა ხალხის სამსჯავროს წინაშე, ფოთელი არმიის მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა პირდაპირი შედეგია. პირწავარდნილი ფაშისტი მგლები, გაქნილი ბანდიტები, ჯალათები და მძარცველები, რომლებიც ჩიხში არიან მიმწყვდეულნი ულმობელი ფაქტებით, იძლევიან ჩვენებას, რომელიც უმაგალითო დანაშაულებში ამყარებს მთელს მმართველ ფაშისტურ ხროვას ობერ-ბანდიტ ჰიტლერის მეთაურობით.

ბრალდებულთა სკამზე ზის სამი ჰიტლერელი დამნაშავე და მათთან ერთად—სამშობლოს გამცემი, მოღალატე. საბრალდებო დასკვნა, რაც დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება, სავსებით ამყარებს უმძიმეს დანაშაულობებში ჰიტლერულ ბანდას, რომელიც მხეცობას სჩადიოდა ხარკოვში.

ბრალდებულთა სკამზე ხარკოვში სხედან ჰიტლერელი მკვლელები. იმას, რაც ხარკოვში ჩაიდინეს შეპყრობილმა და გამომძღვანებულმა გერმანელმა ფაშისტმა დამნაშავეებმა, ისინი სჩადიან გერმანელთა მიერ დროებით დაპყრობილ სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც.

სასამართლო დოკუმენტის მოკლე და ზუსტი სიტყვებით საბრალდებო დასკვნა გვიჩვენებს ჰიტლერელი მტაცებლების ბლანკებში მოყოლილ ხარკოველთა საშინელი ცხოვრებისა და ტანჯვით სიკვდილის შემაძრწუნებელ სურათს. ჩვენ ხელახლა ისევე, როგორც კრასნოდარში, ვხედავთ სიკვდილის საშინელ მანქანებს, გაზის ავტომობილებს — „დუშეგუბკებს“, საზიზღარ წვლილს, რაც გერმანელთა ჯალათურმა აზრმა შეიტანა უმწეო ადამიანების მასობრივი გაჟლეტის ტექნიკაში. ჩვენ ხელახლა ისევე, როგორც კრასნოდარში, გვესმის გულგამგმირავი ყვირილი, ქვითინი, კვნესა დედებისა, რომელთაც ბავშვებიანად „დუშეგუბკებში“ ჰყრიდნენ, რათა ტანჯვით დაეხოცათ. სისხლი გეყინება ძარღვებში, როცა კითხულობ საბჭოთა ადამიანების, დახოცვის უშუალო მონაწილის ბრალდებული რეცლავის ჩვენებებს.

„მასობრივი სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობისა და დახვრეტის გზით, — განაცხადა ამ არამზადამ. — გერმანიის სარდლობას მიტაად საცოდველო და ნელ საშუალებად ეჩვენებოდა სადამსჯელო ორგანოების წინაშე დასახლო ამოცანათა მისაღწევად. ამიტომ უხდებოდათ ჩაფიქრებოდნენ მოსახლეობის ამოწყვეტის უფრო მარტივ საშუალებათა გამოყენებას და, უნდა ითქვას, რომ ეს საშუალებანი გამონახულ იქნა“.

წყეულ გერმანელ კაცისმკვლელთ სურდათ თავიდან აეცილებინათ ზედმეტი გარჯა! მათ უკვე მეტად ნელ საშუალებად ეჩვენებათ საბჭოთა მშვიდობიანი ადამიანების დახოცვის ის საშუალებანი, რომელთაც ისინი წინათ იყენებდნენ. მათ მექანიზაცია უყვეს ამ საშუალებებს, ისინი ხარბად ეტანებიან სულ ახალ-ახალ მსხვერპლს. განა ქვეყნიერებას უნახავს ოდესმე ასეთი ბოროტმოქმედება? განა ქვეყნიერებას უნახავს ასეთი დამნაშავენი?

საბრალდებო დასკვნაში ჩამოთვლილია მხოლოდ ნაწილი იმ ბოროტმოქმედებათა, რაც ჰიტლერელებმა ჩაიდინეს. ისინი ხოცავდნენ ადამიანებს, ისინი ცდილობდნენ მოეკლათ თვით ქალაქი, ანგრევდნენ, აფეთქებდნენ, სწვავდნენ შენობებს, სპობდნენ კულტურულ ღირებულებებს, იტაცებდნენ და გერმანიაში გაჰქონდათ სახალხო დოვლათი. მათ გერმანულ მონობაში, ჰიტლერულ კატორღაში გარეკეს ათიათასობით საბჭოთა მოქალაქე. ისინი პასუხს აგებენ ყველაფრისთვის!

[illegible] ბრალდებული ბანდიტები [illegible] ბრალდებულთა სკამზე ხარკოვში. ისინი თავიანთ მხრებზეა [illegible] ბოროტმოქმედებანი, [illegible] ბოროტმოქმედებაა, არნახული ბანდიტიზმია და გერმანული სამხედრო ფორმა, ქალთა და ბავშვთა მკვლელებს რომ აცვიათ, არ ამცირებს მათს პასუხისმგებლობას სასამართლოს წინაშე.

სწორედ ეს სისხლის სამართლის დანაშაულობა და ბანდიტიზმი, მშვიდობიანი მოსახლეობის უმაგალითო ელეტა შეადგენს ჰიტლერული „ტოტალური“ გამანადგურებელი ომის თვით დედაარსს. გერმანიის სარდლობამ თავის სამხედრო სკოლებსა და სასწავლებლებში ლექციათა სპეციალური კურსი შემოიღო თემაზე საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი უმეტესობის და, განსაკუთრებით, ბელორუს და უკრაინელ ხალხთა გაჟლეტის აუცილებლობის შესახებ. და ჰიტლერელებს განზრახული ჰქონდათ საბჭოთა კავშირის ოკუპირებული რაიონების მოსახლეობის ზოგიერთ ნაწილი გამოეყენებინათ როგორც გერმანელ შემმოულეთა მონები. ასრულებენ რა გერმანიის უმაღლესი სარდლობის და ფაშისტთა ყაჩაღური მთავრობის ბრძანებებს, ყოველი რანგის გერმანელი მტარვალები, ყოველი ჯალათი ბანდიტები ურტყამენ და ცინიკურად არღვევენ საერთაშორისო კონვენციებით დადგენილ ომის წარმოების ყველა წესს. გერმანელმა ყაჩაღებმა თავიანთ ხელში ჩაიგდეს ყველა ის ადამიანური ფასეულობანი, ყველა ის ადამიანური ფასეულობანი, ყველა ის ადამიანური ფასეულობანი, ყველა ის ადამიანური ფასეულობანი, ყველა ის ადამიანური ფასეულობანი, ყველა ის ადამიანური ფასეულობანი, ყველა ის ადამიანური ფასეულობანი, ყველა ის ადამიანური ფასეულობანი, ყველა ის ადამიანური ფასეულობანი, ყველა ის ადამიანური ფასე

სასამართლო პროცესი

ქალ. ხარკოვისა და ხარკოვის ოლქის ტერიტორიაზე მათი დროებითი ოკუპაციის პერიოდში გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ ჩადენილ მხეცობათა შესახებ

სასამართლოს 15 დეკემბრის სხდომა

მას შემდეგ, რაც საბრალდებო დასკვნა გადათარგმნილ იქნა გერმანულ ენაზე, დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა. ყველა ბრალდებულმა—რაინჰარდ რეცლავმა, ვილჰელმ ლანგჰელდმა, ჰანს რიცმა და ბუსლოვმა თავი საცსებით დამნაშავედ სცნო წაყენებულ ბრალდებებში.

პირველად დაკითხეს ბრალდებულ ლანგჰელდს—გერმანიის კონტრდაზვერვის კაპიტანს. იგი აღიარებს, რომ უშუალო მონაწილეობას იღებდა საბჭოთა ადამიანების მასობრივ ხვრეტაში. ლანგჰელდი უპასუხებს პროკურორის კითხვებს და ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ჰიტლერელები სთხზავდნენ ყალბ ბრალდებებს, რომელთა საფუძველზე ხვრეტდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს. ლანგჰელდი აცხადებს, რომ შეადგინა ყალბი ოქმი იმის შესახებ, თითქოს ოცი სამხედრო ტყვე ბანაკიდან გაქცევას აპირებდა. ფაშისტმა ჯალათმა სრულიად თვითნებურად დაახელა გვარები, რომლებიც უბრალოდ აირჩია საბანაკო სიაში. ლანგჰელდმა ოქმი თავის უფროსს მაიორ ლიფიაის წარუდგინა, მან კი განკარგულება გასცა ოქმში დასახელებული ყველა სამხედრო ტყვე დაეხვრიტათ. ამნაირად დახოცილ იქნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანები.

ამნაირი პრაქტიკა ლანგჰელდსა და სხვა გერმანელ ოფიცრებს სისტემად ჰქონდათ. ბრალდებული გულგრილი კილოთი ეუბნება ჩვენებას კიდევ ერთი საშინელი დანაშაულის შესახებ. ამჯერად ლანგჰელდის მსხვერპლი გახდა ექვსი სრულიად უდანაშაულო უკრაინელი ქალი. ესენი იყვნენ გლეხი ქალები, რომლებიც ბანაკში თავიანთი ნათესავების საძებნად მივიდნენ. ლანგჰელდმა დაიპატიმრა ქალები, რომელთა შორისაც ერთს ხუთი წლის ბავშვი ჰყავდა. ცდილობდნენ მათგან მიეღოთ მოგონილი ჩვენებანი, თითქოს ისინი ხელს უწყობდნენ პარტიზანებსა და ბანაკში მყოფ საბჭოთა ტყვეებს შორის კავშირის დამყარებას. გლეხ ქალებს ტანსაცმელს ხიდინენ და ჯოხებსა და ზომბებს სცემდნენ. მაგრამ ვერაფერმა ტანჯვამ და წამებამ ვერ აიძულა საბჭოთა ქალები მიეცათ ყალბი ჩვენებანი. ლანგჰელდმა, შემდეგ აღნობა ადგილობრივ კომენდატურას, თითქოს მან გამოარკვია ხუთი შემთხვევა პარტიზანებსა და საბჭოთა ტყვეებს შორის კავშირის დამყარებისა. ხუთი ქალი დახვრიტეს.

პროკურორი.—კი, მაგრამ ქალები ხომ ემქნნი იყვნენ. მიეძესეს რა მოუვიდა?

ლანგჰელდი უპასუხებს, რომ მეეძესე ცემისაგან გარეაიციალა და, ამიტომ აზრი არა ჰქონდა მსხვერპლთა დასახულ სიაში მის შეტანას. ეს მეეძესე სწორედ ის ქალი იყო, რომელსაც ხუთი წლის ბავშვი ჰყავდა.

პროკურორის კითხვაზე, ბავშვს რა მოუვიდაო, ლანგჰელდმა უპასუხა:

— იგი მკვდარ დედას ებღაუჭებოდა, ხმამაღლა ყვიროდა. ეფრეიტორს, რომელიც სადგომიდან ქალის გვამის გასათრევად მივიდა, ამან თავი მოაპეზრა და მან ბავშვი ტყვიით მოჰკლა.

აღელვებითა და აღშფოთებით მოისმინეს დარბაზში საზიზღარი მკვლელის ჩვენებანი.

ლანგჰელდი შემდეგ აღიარებს, რომ მან არა თუ მარტო იცოდა არსებობა ეგრეთწოდებული „გაზის ავტომობილისა"—სპეციალურად მოწყობილი ავტომანქანისა ნახშირქვეანგით საბჭოთა ადამიანების დასახრჩობად, არამედ კიდეც უნახავს, თუ როგორ სცემდნენ მანქანაში საბჭოთა ადამიანებს.

ბრალდებულის ჩვენებიდან ირკვევა სამხედრო ტყვეების გერმანულ ბანაკებში გამეფებული ტერორისა და პროვოკაციების რეჟიმის საშინელი სურათი. ლანგჰელდს მოჰყავს ასეთი ფაქტი. ერთს ბანაკში ტყვეები ცის ქვეშ ცხოვრობდნენ. ღამით ისინი კოცონებს ანთებდნენ, რომ გამთბარიყვნენ. ბანაკის მმართველობა ამის ნებართვას იძლეოდა, შემდეგ კი ჯარისკაცები სროლას უტეხდნენ კოცონებთან თავმოყრილ უმწეო ადამიანებს. ეს იყო წინასწარ მოფიქრებული მტარვალური პროვოკაცია.

— გვითხარით, ლანგჰელდ, — ეკითხება პროკურორი,—პირადად თქვენ რამდენი საბჭოთა მოქალაქე დახოცეთ?

— ციფრის დასახელება მეძნელება,—უპასუხებს ჯალათი, მაგრამ მგონია, არა ნაკლებ ასი ადამიანისა.

პროკურორი.—იცით თუ არა თქვენ, სულ რამდენი საბჭოთა ადამიანი იყო დახოცილი ხარკოვისა და ხარკოვის ოლქის ოკუპაციის დროს?

ლანგჰელდი.—მე გამიგონია, რომ დახოცილი იყო ოცდაათიათასზე მეტი კაცი. ამდენივე, თუ მეტი არა, დახოცილი იყო კიევში, ნაახლოებით თხუთმეტი ათასი — პოლტავაში.

ლანგჰელდი და მისი მსგავსნი ამნაირად ახორციელებდნენ პრაქტიკაში გერმანიის მთავრობის მითითებას საბჭოთა ადამიანების მასობრივი ულტის შესახებ. ლანგჰელდი, როგორც მისი შემდეგი დაკითხვიდან გამოირკვა, ომამდი ქალაქ მაინის ორანჟფურტის საქალაქო მმართველობის მოხელე იყო, ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში 1933 წელს შეიდა.

ლანგჰელდის დაკითხვის დამთავრების შემდეგ გამოცხადებულ იქნა შესვენება 16 დეკემბრის 10 საათამდე.

16 დეკემბრის დილის სხდომა

16 დეკემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ ლანგჰელდის დაკითხვა. იგი აჩვენებს, რომ „გაზის მანქანა" 1942 წლის მაისში ნახა ხარკოვში „სდ" შტაბის ეზოში მანქანაში ადამიანების ჩასმის დროს. ეს არის მუქი რუხი ფერის ავტომობილი, სავსებით დახურული, რომელსაც უკან გერმეტიული დასახურავი კარები აქვს. ამგვარი „გაზის ავტომობილი" იხმარებოდა ოკუპირებული საბჭოთა ტერიტორიის უმეტეს ქალაქებში: ხარკოვში, პოლტავაში, კიევში, სმოლენსკში. ლანგჰელდი ამბობს, რომ „გაზის მანქანას" იყენებდნენ გერმანიის მთავრობის დავალებით. იგი ასახელებს თავისი უახლოესი თანაშემწეების გვარებს: ფელდფებელ რუნგეს სისოლლეში მოჰყავდა განაჩენები დახვრეტის შესახებ, ხოლო თარჯიმანი შულეი, უფროსი ეფრეიტორები ეტმანი და მაინე მონაწილეობას იღებდნენ ცემასა და აბუჩად აგდებაში დაკითხვების დროს. იგი ამბობს, რომ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში გერმანელი ოფიცრები ისე უყურებდნენ ადამიანებს, როგორც ნადირს, რომელსაც შეიძლება ესროლო, ცხენთ ხდიდნენ მათ, ართმევდნენ კარგ ნივთებს.

ლანგჰელდის შემდეგ დაკითხეს ბრალდებულ რიცს, რომელიც სს ჯარებში უნტერშტურმბანფიურერის ხარისხით მსახურობდა. რიცი აჩვენებს, რომ სს ჯარებს იყენებენ ისევე, როგორც ეფრეიტორებს საარმიო ნაწილებს, მაგრამ „სს"-ელებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებენ: არიული წარმოშობა, განსაზღვრული სიმაღლე, ნაციონალ-სოციალისტიანი ერთგულება და სხვ. რიცი ხელმძღვანელობდა „სს"-ელთა ასეულს, რომელიც სადამჯერო ორგანოს წარმოადგენდა და მიელინებული იყო „სდ ზონდერკომანდასთან" ქალაქ ტაგანროგში. იგი ეწეოდა ხვრეტას, სოფლებიდან მოსახლეობის იძულებით ევაკუაციას. დაპატიმრებულთა გადაყვანასა და დარაჯობას.

შემდეგ ბრალდებულის პასუხებიდან ირკვევა, რომ „სს"-ელთა ასეულის მოქმედება, უმთავრესად, მდგომარეობდა მშვიდობიანი მოსახლეობის მოსპობაში. „სს"-ელები ხოცავდნენ მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს. რიცი აღიარებს, რომ მარტო ტაგანროგის რაიონში მისი პირადი ბრძანებით დახოცილ იქნა 300-მდი კაცი.

რიცი სასამართლოს უჩვენებს, თუ როგორ სწარმოებდა საბჭოთა ადამიანების ხოცვა ეგრეთწოდებულ „გაზის ავტომობილში".

— მე მიხოიბოდა ხარკოვში ლეიტენანტ იაკობესთან შეხვედრა,—აჩვენებს ბრალდებული.—იაკობემ მითხრა, რომ მათ აქვთ სპეციალური მეთოდი, რომელიც საშუალებას აძლევს მათ საპატიმრო გაათავისუფლონ პატიმართაგან. ეს მეთოდია ადამიანების დახრჩობა „გაზის ავტომობილში". მალე იაკობეს ნებართვით მე დავათვალიერე ეს მანქანა საპატიმროს ეზოში. როცა იაკობე მას მიჩვენებდა, მანქანის კარები გაიღო. მანქანას შიგნით გამოკრული აქვს რკინის ფურცლები, იატაკში იყო ნახვრეტები, რომლებიც მანქანაში მოტორიდან გაზები შედიოდა. და ამ გაზების საშუალებით ადამიანებს სწამლავდნენ. მანქანის დათვალიერების შემდეგ საპატიმროდან იწყეს პატიმართა გამოყვანა. მათ შორის იყვნენ სხვადასხვა ასაკის ქალები და მოხუცები. ადამიანები გაძვალტყავებული იყვნენ, სახეზე ცემის კვალი ეჩნდათ. მათ უბრძანეს, მანქანასთან მიდითო. როდესაც ჩასმა დაიწყო, პატიმართა ნაწილმა უარი სთქვა მანქანაში შესვლაზე, მაგრამ მათ ძალით ერეკებოდნენ წიხლებითა და კონდახის ცემით.

პროკურორი ეკითხება ბრალდებულს, თუ რამდენჯერ დაესწრო იგი საბჭოთა მოქალაქეების მასობრივ ხვრეტას. ბრალდებული უპასუხებს, რომ 2 ივნისს იგი მონაწილეობას იღებდა დახვრეტაში, რომელიც ერთ სოფელში მოხდა ხარკოვის მახლობლად. დახვრეტილ იქნა 300-მდე კაცი. დაპატიმრებულნი რამდენიმე პატარა ჯგუფად დაჰყვეს, რომლებსაც „სს"-ლები ავტომატით რიგ-რიგად ხვრეტდნენ.

— მე,—ამბობს რიცი,—ერთ-ერთ „სს"-ელს ავტომატი გამოვართვი და ერთი ჯერი დავიახალე პატიმართ. მასწავლს, დასახვრეტი ნაწილის იყო ბავშვიანი ქალი. იგი ცდილობდა გადაეჩინა ბავშვი და თავისი ტანით ზედ ეფარებოდა, მაგრამ ამან ვერ უშველა: ტყვიამ განგმირა ისიც და ბავშვიც.

შემდეგ ბრალდებულმა აჩვენა ტაგანროგსა და მის მიდამოებში მოსხდარ დახვრეტათა შესახებ. აქ, ნაახლოებით, დახოცილი იქნა 3 ათასი კაცი. იგი ამბობს, რომ ერთხელ თხრილში ტაგანროგთან დახვრეტილ იქნა 50 კაცი.

— სროლის დაწყებისთანავე თხრილში გასასხლიანებულ გვამთა გორგალი გაჩნდა, — აჩვენებს რიცი.—მათ შორის იყვნენ ჯერ კიდევ მოუკვლელი ადამიანები, მაშინ მე ორი რიგითს ჯარისკაცს ვუბრძანე, თხრილში ჩადით და დახოცეთ ისინი, ვინც ცოცხალი ღარჩა. მეთქი. „სს"-ლების შემდეგ მეც თხრილში ჩავედი. ორი კაცი, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, რევოლვერით მოვკალი.

დამცველების კითხვების შემდეგ მთავრდება ბრალდებულ რიცის დაკითხვა.

ხარკოვი, 16 დეკემბერი. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

ამხანაგ სტალინის მოხსენების ღრმად შესწავლისათვის

ხოგი („კომუნისტის" საკ. კორ.). რაიონის მშრომელები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები გულმოდგინედ სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", ბევრმა მათგანმა უკვე საფუძვლიანად შეისწავლა ეპოქის ეს უდიდესი დოკუმენტი.

ამხანაგ სტალინის ეს გენიალური ნაშრომი უკვე შეისწავლეს სოფ. პირველი მაისის ვოროშილოვის სახელობის (პროპაგანდისტი შ. აბიანდაძე), სოფ. ხამისკურის ბაქრაძის სახელობის (პროპაგანდისტი. ვლ. ქორთუა) და ხეთის სტალინის სახელობის (პროპაგანდისტი ს. გუნია) კოლმეურნეობების პირველად პარტორგანიზაციებთან არსებული წრეების მსმენელებმა.

ბელადის წიგნს 731 ამხანაგი დამოუკიდებლად სწავლობდა, უმრავლესობამ ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა იგი. ბელადის წიგნის ღრმად შესწავლამ ხელი შეუწყო მუშაობის შემდგომ გაძლიერებას. ამაღლდა კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლი.

ბოლი („კომუნისტის" საკ. კორ.). ბოლის რაიონის მშრომელებმა, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებმა გულმოდგინედ სწავლობენ ამხანაგ სტალინის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", ბევრმა მათგანმა უკვე საფუძვლიანად შეისწავლა ეპოქის ეს უდიდესი დოკუმენტი.

ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის მოხსენების შესწავლის დაწყებასთან დაკავშირებით რაიონის პარტკაბინეტმა საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი როგორც პროპაგანდისტების, ისე იმ ამხანაგების მომსახურება, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ ბელადის ისტორიულ მოხსენებას. პარტკაბინეტში სისტემატურად ეწყობა ლექციები, კონსულტაციები და საუბრები, მოწყობილია ცალკეულ თემების, მიზეზეთით ლიტერატურის გამოფენა. უკვე ჩატარდა პროპაგანდისტების თათბირი.

ხობის რაიონის მშრომელები საფუძვლიანად შეისწავლიან ამხანაგ სტალინის 6 ნოემბრის მოხსენებას და თავდადებულად იბრძოლებენ ბელადის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის, ვერაგ ჰიტლერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების დასაჩქარებლად.

გრ. ნანეიშვილი

მონინავე ადამიანები პარგოლაში შეიკრნენ

ტყიბული („კომუნისტის" საკ. კორ.). რაიონის მოწინავე ადამიანები შედიან პარტიის რიგებში. ამასწინათ პარტიაში მიღებულ იქნენ სტალინის სახელობის მაღაროს ქვანახშირის ზგრეველი, სემენოლოსელი თ. ნანეკაშვილი, ტეკნიკოსი ნ. კუპრაშვილი, დასავლეთ შახტის ბრიგადა ორდენსანი ი. ილიუშინი და ქვანახშირის ნგრევის პირველი კლასის ოსტატი ნ. ივანიშჩენკო, სოფ. ლაფეთის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის" სტახანოველი კოლმეურნე გ. ბუხაიძე, ტყიბულის რაიონული „ნადავმყოფოს ბავშვთა ექიმი ვალია გორშკოვა და სხვები.

პარტიაში ახალმიღებული მეშახტეები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები წარმატებით მუშაობენ თავიანთ უბნებზე და მისაბაძ მაგალითებს იძლევიან. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ზურგის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის პლენუმი

ხაშური, 14 დეკემბერი. შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მესამე პლენუმი, რომელშაც მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივნის ამხ. ა. იმნაძის სათანგარიშო მოხსენება. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 7 კაცმა. პლენუმმა რაიკომის პოლიტიკური ხაზი საანგარიშო პერიოდში სცნო სწორად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

ამხ. ა. იმნაძის სხვა რაიონში სამუშაოდ გადაყვანის გამო, რაიკომის პლენუმმა გაათავისუფლა იგი რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის აღსრულებლად პლენუმმა აირჩია ამხ. გ. ფოფხაძე და შეიყვანა იგი რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ბუჯიაშვილმა (საქდესი).

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი. ეს არის ერთიერთი შესანიშნავი მოვლენა საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარებაში.

დიდია ის ამოცანები, რომლებიც ინსტიტუტის წინაშე დგას.

უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუტის კოლექტივის მუშაობა უნდა წარიმართოს პედაგოგიკის სახელმძღვანელოს შექმნისაკენ ქართულ ენაზე.

მეორე მხრივ, სერიოზული კვლევა უნდა გაჩაღდეს ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლისათვის. ჯერჯერობით ძალიან ცოტა არის ამ მხრივ გაკეთებული.

უნდა თავი მოეყაროს, შემდგომ მეცნიერული მუშაობა სპეციალურ პედაგოგიკაში (რომ ბავშვთა, ყრუ-მუნჯ ბავშვთა, ვონიერულად ჩამორჩენილთა აღზრდა) და წარიმართოს იგი გეგმიანად.

ყველაზე მეტი, რაც უნდა გაკეთოს ახალმა ინსტიტუტმა,—ეს არის სკოლის მომსახურება, მისთვის მეთოდიკების შედგენა, სახელმძღვანელოების დაწერა, პროგრამების მეცნიერულად დამუშავება.

ინსტიტუტთან იარსებებს ასპირანტურა, რომელიც მომამზადებს მეცნიერ მუშაკებს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ცალკე დარგების მიხედვით.

ინსტიტუტი პერიოდულად გამოსცემს თავის მეცნიერულ ორგანოს „პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის შრომები".

საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორია დოც. დ. ყიფშიძე.

ინსტიტუტის კოლექტივი მოწოდებულია ყველაფერი გააკეთოს, რათა ღირსეულად შეასრულოს პარტიისა და მთავრობის მიერ დაკისრებული დიდი და სახალხო მოვალეობა.

გეგმების შესრულება

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მსხვილფეხა რქიანი საქონლის ნაცვლად 15.000 სულისა მოშენებულია 15.208 სული, გეგმის 101,4 პროცენტი. ცხვარი და თხა 117.750 სულის ნაცვლად—130.045 სული, გეგმის 110,5 პროცენტი, ცხენი გეგმის 102,4 პროცენტი, ღორი 2.710 სულის ნაცვლად — 2.733 სული, გეგმის 101 პროცენტი. ფრინველი გეგმით უნდა იყოს 5.000 ფრთა, არის 6.860, გეგმის 138 პროცენტი, ფუტკარი გეგმით უნდა იყოს 1.600 ოჯახი, ფაქტიურად არის 1.678, გეგმის 105 პროცენტი, სილოსი უნდა მომზადებულიყო 4.400 ტონა, მომზადებულია 4.600 ტონა, გეგმის 105 პროცენტი, უხეში საკვები დამზადებულია 354.000 ცენტნერი. შარშანდელთან შედარებით წელს უხეში საკვები დამზადდა 35.000 ცენტნერით მეტი. საქონლის გამოზამთრებისათვის შეკეთებულია ბინები და სადგომებთან მიტანილია როგორც უხეში, ისე კონცენტრირებული საკვები.

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ბელაშვილი
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მირიანაშვილი

* * *

ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობებმა მეცხოველეობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა 15 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს. მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულია 101,2 პროცენტით, მათ შორის დედა პირუტყვის — 102,4 პროცენტით. ცხენის სულადობის ზრდის გეგმა შესრულდა 118 პროცენტით, ღორის — 114 პროცენტით, ცხვრისა და თხის — 100,3 პროცენტით, ფრინველის — 112 პროცენტით. პირუტყვი უზრუნველყოფილია ზამთრისათვის თბილი ბინებით და საკვებით. სილოსის დამზადების გეგმა შესრულებულია. კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის ჩაბარების გეგმა 15 დეკემბრისათვის 105 პროცენტით შეასრულეს. წარმატებით შეასრულეს კარტოფილის ჩაბარების გეგმაც. კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 38.000 კილოგრამი მარცვლეული.

საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანი ხიდაშელი

* * *

ქობულეთის რაიონის ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობამ 15 დეკემბრისათვის მოჰკრიფა 485 ტონა ტუნგოს ნაყოფი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 470 ტონისა. სახელმწიფოს ჩაბარა 115.000 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ნაცვლად გათვალისწინებული 50.000 ცალისა, გეგმა შესრულებულია 230 პროცენტით. ტუნგოს ნაყოფის კრეფა გრძელდება.

ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მგელაძე

მანერჰაიმელების ბოროტმოქმედებათა სია

მოქმედი არმია, 14 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორ.). ტყვე ფინელთა ჩვენებანი და ჩვენი დაჭრეული ქალაქების ფოტოსურათები, რომლებიც მათ ჩამოვართვეთ, მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების ჩვენებანი, ეგრეთვე იმ ადამიანთა ნაამბობი, რომლებმაც მოახერხეს ფრონტის ხაზზე გადმოსვლა, გვიხატავენ იმ შემაძრწუნებელ დანაშაულობათა სურათს, რასაც მანერჰაიმელთა ბანდები კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე სჩადიან.

ჰეტროზავოდსკი... ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის აყვავებული დედაქალაქი, ჰეტრე დიდის მიერ დაარსებული ქალაქი ფინელებმა ნახევრად დაწვეს და დანგრიეს. იქ, სადაც იდგა უმშვენიერესი შენობები ფალარმონიისა, გოსტინი დვორისა, ჩრდილოეთის დიდი სასტუმროსი, ახლა ცარიელი ადგილია. დამახინჯებულია კარლ მარქსის სახელობის მშვენიერი პროსპექტი, ხოლო საზაფხულო ბაღში, მოქალაქეთა საყვარელ დასასვენებელ ადგილას, მოწყობილია შუკაორელების სასაფლაო. აღარ არსებობს პიონერთა სასახლე. ნაწგრეგების გროვად არის ქცეული ფაბრიკებისა და ქარხნების შენობები.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფინელების მიერ დამყარებული „ახალი წესრიგი" ძარცვისა და მტაცებლობის, ადამიანების უმაგალითო აბუჩად აგდების სისტემაა, კალევალის, ზაონეგიისა და სხვა რაიონებში მოსახლეობას ჩამოართვეს მთელი პური. გაძარცული ხალხი იკვებება არყის ხის ქერქით, სამამ ფოთოლს, ბალახს, ჩალას, იხოცება შიმშილისა და დაეძლურებით. ზაონეგიეს რაიონის მარტო ერთ პატარა სოფელ პაგრემაში უკანასკნელ დროს შიმშილით მოკვდა 20 კაცი.

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის მარგალიტი, როგორც ცნობილია, იყო ზაონეგიეს რაიონი მისი უმდიდრესი თევზსარეწვით, ტყის მასივებით, სასარგებლო წიაღისეულით ამჟამად ცხოვრება აქ ჩამკვდარია. თინეელებმა ზაონეგიე რომ დაიკავეს, იმ ადგილებიდან გამოასახლეს ველიკოგუბსკის, პაიანიკისა და